

**სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები**

2019წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „გლენბერი“-ს - ფინანსური დირექტორი: შარონ მიზრაჰი, აღმასრულებელი დირექტორი: რაფიელ მაღალაშვილი, ს/ნ 405224662, იურიდიული მისამართი: ქ.თბილისი, ვაკე-საბურთალოს რ-ნი, მელიტონ და ანდრია ბალანჩივაძეების ქ. კორპუსი #8, ბინა 59.

შპს „გლენბერის“-ის წარმოადგენს 2017 წელს დაარსებულ კომპანიას, თუმცა საქმიანობა დაიწყო 2018 წელს. შპს-ს საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ხილისა და ბოსტნეულის გადამამუშავება-გაყენვა და გაყენული სახით რეალიზაცია მათ შორის ექსპორტი. ამისათვის კომპანიამ საკუთარი თანხებით და ასევე სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს თანადაფინანსებით (საქართველოს მთავრობის 2014წლის 27 იანვრის #139 განკარგულებით დამტკიცებული „სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის“ კომპონენტი - სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემნახველი საწარმოების თანადაფინანსება) ქარელის რ-ნ სოფ. ქვენატკოცაში ააშენა თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი პროდუქციის გადამამუშავებელ და შემნახველ საწარმო. ჩვენი კომპანიის მიერ ხდება ხილისა და ბოსტნეულის შეძენა როგორც ადგილობრივი ფერმერებისგან, ასევე ნედლეულის იმპორტი, გადამამუშავება-გაყენვა, შეფუთვა, შენახვა და რეალიზაცია, როგორც ადგილობრივ ბაზარზე ასევე ექსპორტი.

საქმიანობის მცირე პერიოდში კომპანიამ შეძლო აისო 22000 სტანდარტის დანერგვა წარმოებაში და აგრძელებს საკუთარი ძალებით წარმოების გაფართოვებას და ასევე მაღალი ხარისხის საწარმოო პროცესის შექმნას. კომპანიაში დასაქმებული თანამშრომლების 95 % წარმოადგენს ადგილობრივ მოსახლეობას, რომლებიც როგორც სეზონურად ასევე მთელი წლის განმავლობაში არიან საწარმოში დასაქმებულნი.

კომპანია იმყოფება განვითარებისა და ზრდის ეტაპზე. ჩვენს მთავარ მიზანს წარმოადგენს ქართული ხილისა და ბოსტნეულის პოპულარიზაცია საერთაშორისო ბაზრებზე, ასევე

საქართველოსთვის ინოვაციური პროდუქციის შეთავაზება და რაც ყველაზე მთავარია რეგიონში მცხოვრები მოქალაქეების დასაქმების ხელშეწყობა და თანამშრომლებისათვის ღირსეული სამუშაო გარემოს შეთავაზება. მუდმივად გვაქვს შეხვედრები, კონსულტაციები ჩვენს დარგში მოქმედ კომპანიებთან, პარტნიორებთან რათა მეტი ცოდნა და გამოცდილება შევიძინოთ რაც დაგვეხმარება ჩვენი მიზნების რეალიზებაში. ჩვენი საქმიანობით ასევე გვსურს შევქმნათ მაგალითი თუ როგორ შეიძლება აგროსფეროში მოქმედ ფერმერებს ხელი შევუწყოთ პროდუქციის რეალიზებაში.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

- ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით
- სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.
- მოგების გადასახდის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადებისა და გადავადებული გადასახადების ჯამი.
- მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას. გადავადებული გადასახადი აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და მათ შესაბამის საგადასახადო ბაზებს შორის სხვაობასთან (ე.წ. დროებითი სხვაობა) მიმართებით. ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით, რომელიც მოსალოდნელია რომ მომავალში გაზრდის საგადასახდო მოგებას, აღიარდება გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები. გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში შეამცირებს საგადასახადო მოგებას ასევე ყველა გამოუყენებელ საგადასახადო ზარალთან, ან გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტთან მიმართებით. გადავადებულ საგადასახადო აქტივების შეფასება ხდება მაქსიმალური შესაძლო თანხით, რომლის აღდგენაც უფრო მოსალოდნელია, ვიდრე არა, მიმდინარე საგადასახადო მოგებისა, თუ შეფასებული მომავალი საგადასახდო მოგების საფუძველზე.
- გადავადებული საგადასახადო აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველი სააგარიშგებო თარიღისათვის და მისი კორექტირება ხდება მომავალი საგადასახადო მოგების მიმდინარე შეფასების ასახვის მიზნით. ნებისმიერი კორექტირების თანხა აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

- გადავადებული გადასახადი გაიანგარიშება იმ საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომლებიც, სავარაუდოდ, გავრცელდება იმ პერიოდების სადგადასახადო მოგებაზე (საგადასახადო ზარალზე), როდესაც საწარმო მოელის გადავადებული საგადასახადო აქტივის გამოყენებას ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულების დაფარვას და უკვე ძალაში შესულია, ან არსებითად ძალაში შესულია საანგარიშგებო თარიღისთვის.
- ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.
- არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო - მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო -მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

- იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო

განაკვეთი ვალდებულებების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.
- რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.
- სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში..
- ბანკის სესხის საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. ამონაგები

2019წელი 2018წელი 2017წელი

საქონლის რეალიზაციით

736 210

88 055

4. ფინანსური დანახარჯები

	2019წელი	2018წელი	2017წელი
ბანკის სესხის პროცენტი	124 310	67 643	
ფინანსური იჯარის პროცენტი			

5. მოგება დაბეგვრამდე

შემდეგი მუხლები აღიარებულ იქნა ხარჯად (შემოსავლად) დაბეგვრამდე მოგების განსაზღვრისას:

	2019წელი	2018წელი	2017წელი
ხარჯად აღიარებული სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება	522 293	68 942	
სავაჭრო ვალდებულებებზე საკურსო სხვაობის შედეგად მიღებული შემოსავალი	6887	3985	
ზარალი	5029	435 419	
(რომელიც ჩართულია შემოსავალში და ხარჯებში)			

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019წელი	2018წელი	2017წელი
სავაჭრო დებიტორები	136 850	2250	
წინასწარი გადახდები	77 946	86 272	67 041

7. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2019წელი	2018წელი	2017წელი
ნედლეული და მასალები	1 420 515	780 216	468 012
დაუმთავრებელი წარმოება			
მზა პროდუქცია			

8. ძირითადი საშუალებები

		2019წელი	2018წელი	2017წელი
მიწა და შენობა-ნაგებობები	1 547 488	1 530 582		
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა		1 769 444	1 713 762	

9. სავაჭრო ვალდებულებები

	2019წელი	2018წელი	2017წელი
მოკლევადიანი ვალდებულება	437 751	56 280	426 400
მიმდინარე სასესხო ვალდებულება		59 014	5757
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულება	3 579 875	1 976 325	178 145

10. კაპიტალი

2019 წლის 31 დეკემბრისთვის კაპიტალის ნაშთი შეადგენს 1 068 532 ლარს, რომელიც შედგება დამფუძნებლის შენატანისაგან.

11. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2019წელი	2018წელი	2017წელი
fuladi saxsrebi salaroSi	-	-	1345
ფულადი სახსრები ბანკში	133 915	80 483	27 382

12. finansuri angariSgebis damtkiceba

direqtorმა finansuri angariSgeba daamtkica da misi gamocemis nebarTva gasca 2020 wlis 30 marts.

ფინანსური მდგომარეობა			
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2017	31/12/2018	01/01/2018
აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	133915	80483	28727
სავაჭრო მოთხოვნები	136850	2250	0
გადახდილი ავანსები	77946	86272	67041
მარაგები	1420515	780216	468012
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	1420515	780216	468012
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მიმდინარე აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	0	0	0
ძირითადი საშუალებები	3316932	3244344	0
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	5086158	4193565	563780
ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	437751	56280	426400
ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	0
საგადასახადო ვალდებულებები	0	0	0
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები	0	59014	5757
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	3579875	1976325	178145
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	4017626	2091619	610302
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივების შემთხვევაში 'სააქციო კაპიტალი')	1068532	2101946	0
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	0	0	-46522
გადაფასების რეზერვი	0	0	0
სხვა რეზერვები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	1068532	2101946	-46522
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5086158	4193565	563780

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	2019	2018
ნეტო ამონაგები	736210	88055
საქონლის გაყიდვიდან	736210	88055
მომსახურების გაწევიდან	0	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	0
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	-522293	-68942
საწყისი მარაგები	-780216	-468012
მარაგების შესყიდვა	-1162592	-849158
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	1420515	780216
საერთო მოგება	213917	19113
სხვა შემოსავალი	0	600000
დასაქმებულთა ანაზღაურება	-204213	-216769
ცვტა და ამორტიზაცია	-166131	-153343
საპროცენტო შემოსავალი:	0	0
საპროცენტო ხარჯი :	-124310	-67643
იჯარის ხარჯი	0	0
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-466063	-428343
სულ საოპერაციო ხარჯები	-960717	-266098
საოპერაციო მოგება	-746800	-246985
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:		
ფინანსური აქტივები	6887	3985
მარაგები	0	0
სხვა არაფინანსური აქტივები	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან	-5029	-435419
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	0	0
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობილი	-744942	-678419
მოგების გადასახადი	0	0
მოგება/(ზარალი)	-744942	-678419
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალების (მათ შორის ბიოლოგიური აქტივის) გად	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)	-744942	-678419
კაპიტალის საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)	2101946	-46522
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზ	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	-288472	2826887
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	1068532	2101946